# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— სამშაბათი, 28 ნოემბერი 1900 წ. № 1311

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

## 1901 წლისათვის
## მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მოამბე“**

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 „ | 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.
თითო ნომერი—3 კაპ.

**ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მ., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## ტფილისის კერძო
## სამკურნალო
### მკურნალის
### მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელიანი—ყურის, ყელის და ცხვირის—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინაგანი—12—1 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

### ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობა
## „შუამავალი“

ამით აცნობებს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის პირველიდან ამხანაგობის მაღაზია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, ოქროევის შენობაში (ცირკის გვერდზე). მაღაზია ვაჭრობს საუკეთესო ღირსების ყოველივე სანოვაგით, ყველანაირის სასმელებითა და კოლონიალურის საქონლით. (5—3)

## ახალი ამბავი

✦ ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, სახაზინო თეატრში გაიმართება **საქველ-მოქმედო წარმოდგენა** ქალთა 1-ლ და მე-2 გიმნაზიების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნება ოპერა „სადკო“.

✦ გზათა სამინისტრო ახლო მომავალში ჰგზავნის საგანგებო სპეციალისტებს, რომლებმაც მთელ იმპერიაში უნდა გამოირკვიონ რკინის გზების სადგურების **მისასვლელ გზების** მდგომარეობა, მათი გამრავლებისა და გაუმჯობესობის საქმე.

✦ 7 დეკემბერს სახელმწიფო **სათავად-აზნაურო მამულთა ბანკის** ტფილისის განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებსაც არ შეუტანიათ ხვედრი სავალო გადასახადი. გასასყიდად დანიშნულია 44 მამული: ერთი განჯის გუბერნიისა და 43—ქუთაისისა.

✦ შაბათს, 24 ნოემბერს, ტფილისის საოლქო სასამართლოს სადგომში მოხდა წლიური კრება **კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა.** საანგარიშო წელს საზოგადოებაში ითვლებოდა 175 წევრი. შემოსავალი ჰქონია წლის განმავლობაში 675 მან. 99 კაპ., დაუხარჯავს—165 მან. 84 კაპ. ანგარიშების დამტკიცების შემდეგ მოხდა არჩევნები. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. მ. შარიგინი, მის ამხანაგებად—ო. ა. ფერსმანი და ლ. ი. შევალიე, მდივნებად—მ. ო. გრუზენბერგი და ა. ი. მიტკევიჩი, ხაზინადრად—ი. კ. სავიცკი და წიგნთ-საცავის გამგედ—ა. ა. მაქსიმოვიჩი.

✦ კვირას დაასაფლავეს ცნობილი მემამულე **მართა შელიგოვისა.** მთელი თავისი ქონება განსვენებულს საქველ-მოქმედო საქმეებისათვის დაუტოვებია: დიდი მამული ხარკოვის გუბერნიაში ბრმათა სამზრუნველოსათვის უანდერძებია, დიდი შენობა ტფილისში—თანდილოვის სომხურ ეკლესიისათვის სკოლების ასაგებად, დანარჩენი ფული, რომლის რაოდენობაც ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი, გარდაცვალებულს უანდერძებია ქალთა ტფილისის 1-ლ გიმნაზიის ღარიბ აზნაურთა შვილებისათვის სტიპენდიების დასაარსებლად.

✦ ყარსის რკინის გზის იმ მოიჯარადრეებს, რომელნიც ინჟ. ვურცელის გამგებლობის დროს იყვნენ დათხოვნილნი, **საჩივარი** შეუტანიათ სასამართლოში, რომლით ზარალის ზღვევას სთხოვენ გზათა სამინისტროს.

✦ შაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს, **მარგანეცის მრეწველთა საბჭოს** ზოგიერთ თხოვნების განსახილველად მოხდა სხდომა ამიერ კავკასიის რკინის გზების საბჭოსი სახაზინო რკინის გზების ინსპექტორის ბ-ნი გორჩაკოვის თანადასწრებით. სხდომაზე მიწვეული იყო და დაესწრო ხსენებულ საბჭოს თავმჯდომარეც გ. ფ. ზდანოვიჩი.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ სოფ. კულაშიდან (ქუთ. მაზრა): „გარშემო სოფლებში **ქუნთრუშა** მძვინვარებს; რადგანაც გლეხები არ უძღლავნებენ ექიმებს და ადმინისტრაციას ავადმყოფების შესახებ, სენთან ბრძოლა მეტად გასაჭირია“.

✦ გუშინ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი **დეპეშა** დ. უგრიალიდან: „გაიგო-რა გარდაცვალება ქართულ დრამატიულ დასის არტისტის ბაბო ავალიშვილისა, ყვირილის ქართულ სცენის მოყვარეთა წრე აცხადებს გულითად მწუხარებას იმის გამო, რომ ქართულმა დასმა და ქართველმა საზოგადოებამ დაჰკარგეს ნიჭიერი არტისტი“.

✦ განსვენებულის **ბაბო ავალიშვილის** ძეგლის ასაგებად ჩვენს რედაქციაში გუშინ შემოვიდა შემოწირულება 5 მან. და 50 კაპ.: №№-გან—1 მან., ს. ი—ძისაგან—1 მან., შ. ბ—გან—1 მ., 1 მან., მან. ლ—გან 1 მან., ვ. ლ.—გან 1 მან., და გ. მ—გან—50 კაპ.

შეგროვილს ფულს რედაქცია გაუგზავნის ქართულ დრამატიულ

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ა. სულხანიშვილს.

✦ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას ოცზე მეტი პატარა აფთიაქი დაურიგებია ტფილისის გუბერნიის სოფლების ექიმებისთვის ხალხისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

✦ კვირას, 26 ნოემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში ქართულ კითხვების სექციის წევრებმა გამართეს კონცერტი ორს განყოფილებად; საზოგადოდ კონცერტმა ისე კარგად ჩაიარა, რომ ხალხი ზოგიერთი ნომრის შესრულებით აღტაცებაში მოდიოდა და მრავალ ჯერ იწვევდა აღმასრულებელთ გასამეორებლად. მეტად მოეწონა ხალხს ბ-ნ ფალიაშვილის ხოროსაგან შესრულებული სიმღერები და კიდეც რამდენჯერმე გაამეორებინეს ზოგიერთი ხმები. განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა ხალხი თავ. ი. ბარათაშვილმა ლექსის „შენ გეტრფი მარად“-ის სიმღერით და ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ დუდუკზე „აღმართ-აღმართ მივდიოდი“-სა და „არ გავცვალი ჩემსა სამშობლოს“ შესრულებით; თავ. ვაჩნაძისა და კნ. ხერხეულიძის მშვენიერმა ლეკურმა ისე მოხიბლა ხალხი, რომ შეუწყვეტელის ტაშის ცემით რამდენჯერმე გაამეორებინეს. მოხდენილად წაიკითხა აგრეთვე თავ. ვაჩნაძემ ქართული ლექსები. საზოგადოდ კონცერტით ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა, ასე რომ კარგი იქმნება ასეთი შინაარსიანი კონცერტები ხშირად გამართონ ხოლმე. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც კონცერტში მონაწილეობა მიიღეს და მით სექციის წევრებს შეძლება მისცეს ხალხისათვის სასიამოვნო საღამო მოეწყოთ. კონცერტს, როგორც ყოველთვის, ბევრი ხალხი დაესწრო.

✦ შაბათს, 25 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომაზედ, ქალაქის მოურავმა წარადგინა განსახილველად მოხსენება 1901 წელში მომავალ ოთხი წლისათვის ქალაქის ხმოსნების არჩევნების შესახებ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ქალაქის დებულების მე-37 მუხლის თანახმად, თუმცა ხმოსნების არჩევანი შეიძლება ამომრჩეველთა ერთს კრებაზე, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ დანაწილებულ იქმნას ქალაქი ხმოსანთა არჩევნების დროს ამომრჩეველ ადგილობრივ მცხოვრებთა მიხედვით, რათა ამომრჩევთა მრავალ-რიცხოვნებისა გამო უფრო გაადვილდეს ხმოსნების არჩევანის საქმე, ასე რომ ყოველს ამომრჩევ ნაწილს ჰქონდეს ნება, ამომრჩევთა რიცხვის მიხედვით, ხმოსანთა სათანადო რიცხვის ამორჩევისა.

თუმცა აქამდე ხმოსანთა არჩევნები ერთს კრებაზედ ხდებოდა, რასაც შესამჩნევი უხერხულობა არ გამოუწვევია, მაგრამ შენიშნული იყო ის გარემოება, რომ ზოგი ხმოსნები მეტის ხმით იყვნენ არჩეულნი და ზოგნი ნაკლებით; ეს გარემოება იმისაგან ხდებოდა, რომ კრებაზე ძალიან ბევრი ამომრჩევნი ესწრებოდნენ, არჩევნები დილამებამდის არ თავდებოდა და როცა ერთს კრებაზე ყველა ხმოსნების არჩევნებს ვერ ასწრებდნენ, მეორე და მესამე კრებებზე იმდენი ამომრჩევნი არ ესწრებოდნენ, რამდენიც პირველზე. ამისდა მიხედვით, ქალაქის მოურავი აცხადებს, რომ მომავალ წლებისათვის ხმოსნების არჩევანი მოხდეს იმდენს ნაწილში, რამდენიც პოლიციის ნაწილია ქალაქში, რადგანაც საქმეს ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ ეხლანდელ პოლიციის ნაწილების სამზღვრებიცა და ტერიტორიაც უკვე განსაზღვრულია. ამისდა მიხედვით მოურავმა წარუდგინა გამგეობას არჩევნების მოსახდენად ოთხი პროექტი; როგორც გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდან სჩანს, ამომრჩევთა რიცხვი სულ 5192 კაცამდეა. პოლიციის პირველ ნაწილში იქმნება 706 ამომრჩეველი, მე-2-ში—277, მე-3—204, მე-4—240, მე-5—1072, მე-6—603, 7—529, 8—355, 9—611 და მე-10 ნაწილში 995 ამომრჩეველი,—სულ 5192.

პირველი პროექტით უნდა გაიყოს ქალაქი ორს ამომრჩევ ნაწილად: პირველში უნდა მოხვდნენ 1, 2, 3, 4, 5 და 6 პოლიციის ნაწილები, სადაც იქმნება 2492 ამომრჩეველი და მე-2-ში მე-7, 8, 9 და მე-10 პოლიციის ნაწილნი—2693 ამომრჩევლებით. პირველს ნაწილს ექმნება 39 ხმოსნის არჩევნის უფლება, ხოლო მეორეს—41 ხმოსნისა. მეორე პროექტით ქალაქი განიყოფება სამს ნაწილად: 1) 1, 2, 3 და 10 პოლიციის ნაწილნი 1782 ამომრჩევლებით, რომელთაც უნდა ამოირჩიონ 27 ხმოსანი; 2) 4, 5 და 6 ნაწილნი 1915 ამომრჩევლებით, ამოირჩევენ 30 ხმოსანს და 3) 7, 8 და 9 ნაწილნი 1495 ამომრჩევით, რომელთაც ნება ექმნებათ 93 ხმოსნის ამორჩევისა.

მესამე პროექტით—4 ნაწილად: 1) 1 და მე-10 ნაწილი 1301 ამომრჩევლებით ამოირჩევენ 20 ხმოსანს, 2) მე-2, 3 და მე-9 ნაწილი 1092 ამომრჩევლებით—16 ხმოსანს, 3) მე-4 და მე-5 ნაწილი 1312 ამომრჩევლით—20 ხმოსანს და 4) 6, 7 და 8—1487 ამომრჩ. ამოირჩევენ 21 ხმოსანს.

მეოთხე პროექტით ქალაქი 5 ნაწილად განიყოფება: 1) 1-ლი და მე-2 ნაწილი 983 ამომრჩევლით ამოირჩევენ 15 ხმოს., 2) 3 და 4 ნაწილი 444 ამომრჩ.—7 ხმოს. 3) 5 და 6 ნაწილი—1675 ამომრჩევლით—25 ხმოს., 4) 7 და 8 ნაწილი 884 ამომრჩ.—12 ხმოს., და 5) მე-9 და მე-10 ნაწილი 1206 ამომრჩევლით ამოირჩევენ 19 ხმოსანს.

ქალაქის მოურავმა თავის მხრით ის აზრი გამოსთქვა, რომ კარგი იქნება ქალაქი ხმოსანთა არჩევნების დროს სამ ნაწილად გაიყოსო. ქალაქის მოურავი თვისის წინადადების დასასაბუთებლად ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ ქალაქი გაყოფილია სამ გარდამხდელ ნაწილად, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების საქმეს და, მეორე, მით, რომ ისეთი დიდი ქალაქი, როგორიც მოსკოვია, წელს არჩევნების დროს გაყოფილი იყო სამ საარჩევნო ნაწილად, რაც კიდეც დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტრომაო. ამასთანავე მოურავმა განაცხადა, რომ არჩევნების რიცხვში ეხლა მიღებულ არიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც რაიმე უძრავი მამულები აქვთ, ხოლო რაც შეეხება იმ პირთ, რომელთაც აქვთ ნება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა სამრეწველო დაწესებულებათა ქონებით, მათი რაოდენობა გამოირკვევა მხოლოდ მომავალ 1901 წლის დამდეგში და ამის შემდეგ შეგვეძლება საბოლოვოდ გამოვარკვიოთ რაოდენობა ხმოსანთა ამომრჩევ მცხოვრებლებისა და ამის მიხედვით ქალაქის საბჭოს ხმოსნებისაცაო. გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ მე თანახმა ვარ ქალაქის საარჩევნო ნაწილებად გაყოფისა მხოლოდ მიტომ, რომ დაკმაყოფილებულ იქმნეს ქალაქის მცხოვრებთა ის ელემენტი, რომელსაც უფრო საუკეთესოდ მიაჩნია წესი ქალაქის საარჩევნო ნაწილებად დაყოფისა, მაგრამ ისე კი, რომ ქალაქი ორ საარჩევნო ნაწილად გაიყოს, რადგანაც მაშინ უფრო შესაძლებელი იქმნება ქალაქის საბჭოში მოხვდნენ ინტელიგენტ ხმოსანთა უმრავლესობაო. გამგეობის წევრი ბ-ნი შესტაკოვი მიემხრო მოურავის წინადადებას, ხოლო თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი წინააღმდეგია ქალაქის საარჩევნო ნაწილებად გაყოფისა, რადგანაც, მისი აზრით, ასეთი ხმოსანთა საარჩევნო სისტემა ძალიან ავნებს საქმეს მით, რომ საბჭოში ცოტა ინტელიგენტი ხმოსნები მოჰყვებიან, რადგან ნაწილებში უფრო მდიდარ მცხოვრებთ ექმნებათ იმედი არჩევნისა, მით უმეტეს, რომ ინტელიგენტი მცხოვრებნი უფრო ნაკლებად არიან ცნობილნიო. წინანდელ არჩევნების გამოცდილებიდან ვიცით, რომ არჩევნებზე მხოლოდ $1/_6$ ამომრჩევლებისა ესწრებოდა, და როდესაც ქალაქი რამდენიმე საარჩევნო ნაწილად გაიყოფება, მაშინ შესაძლებელია ზოგან მეტი დაესწროს და ზოგან ნაკლები, და ამის მიხედვით ინტელიგენტ ხმოსანთა უმრავლესობის ამორჩევის იმედიც უნდა გადაწყვეტილი გვექნესო; ამას გარდა ვიცით ისიც, რომ ამომრჩევთა უმეტესობაზედ დიდი გავლენა აქვს ამომრჩევთა იმ ნაწილს, რომელთაც ამომრჩევლობის უფლება აქვთ სამრეწველო გარდასახადის გამო, და ეს ცალმხრიობა არჩევნების საქმეში შეგვიძლიან ავიცილოთ თავიდან, თუ ამომრჩეველნი ეცდებიან საკანდიდატო სიების ისე შედგენას, რომ დაკმაყოფილებულ იქმნენ ქალაქის ყველა მცხოვრებნიო. გამგეობამ, როგორც მკითხველებმაც უწყიან, ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა გაყოფილ იქმნეს ქალაქი სამს საარჩევნო ნაწილად.

✦ ქუთაისიდან გვწერენ: „23-ს ნოემბერს იმერეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების დაწყების წინად გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის მშვიდობით მორჩენის გამო. პარაკლისს შემდეგ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა შესაფერის სიტყვით მიჰმართა თავადაზნაურობას და მშვენივრად დაუსახა იდეალი საზოგადო მოღვაწისა, რომელიც უნდა ჰქონდეს კაცს ამორჩევის დროს.

კრებამ, რომელიც გაიხსნა გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელის თავ. დ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით, გარდასწყვიტა გაუგზავნოს დეპეშა ხელმწიფე იმერატორს და მიულოცოს მშვიდობით მორჩენა. შემდეგ კრებამ მოიხსენა ფეხზე ადგომით ვარშავის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფის იმერეთის ბატონიშვილის თ. ალექსანდრეს გარდაცვალება და სასამძიმრო დეპეშა გაუგზავნა ქვრივ მეუღლეს თავადისას და გარდასწყვიტა გარდიხადოს სამგლოვიარო პანაშვიდა გარდაცვალებულის ბატონიშვილის სულის მოსახსენებლად.

24 ნოემბერს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იმერეთის ბატონიშვილის თ. ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად. შემდეგ კრება დაიწყო $12^1/_2$ საათზე. მცირე კამათის შემდეგ შესახებ მიწაზედ გაწერილის გარდასახადისა, შეუდგნენ არჩევნებს ზოგიერთის მაზრის წო-

ნამძღოლებისა, რადგანაც წინანდელის კრების არჩევნები დარღვეულ იქმნენ.

ოზურგეთის მაზრის მარშლად არჩეულ იქმნა — თ. კ. დავითის-ძე ერისთავი (42 თეთრი 3 შავი), კანდიდატად თ. ვახ. გურიელი (36 თეთრი და 9 შავი.)

რაჭის მაზრის მარშლად დასახელებული ბ-ნი კ. დ. ჩიკვაიძე გაშავებულ იქმნა (4 თეთრი და 8 შავი). შემდეგ დაუდგეს ყუთი ბ-ნ ი. კვიტაშვილს და სვ. ე. ჯაფარიძეს და კენჭის დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ რაჭის მაზრაში კანონიერი რიცხვი ამომრჩეველთა — 112 კაცი — არ არის, ამიტომ კრების თავმჯდომარემ გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. დ. ნიჟარაძემ შეუერთა რაჭის მაზრას ლეჩხუმის მაზრა. ამის შემდეგ ამორჩეულ იქმნა თავ. დიმ. ალ. ყიფიანი (16 თეთრი და 2 შავი). კრება ამის შემდეგ გადაიდვა 22-ის ნოემბრისათვის გუბერნიის მარშლის კანდიდატების ასარჩევად.

✦ ქალაქის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქმნა საკითხი: ქალაქის ხმოსანთა არჩევნები მოხდეს ერ კრებაზე, თუ რამდენიმე კრებაზე ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში. საბჭომ დაადგინა 21 ხმით წინააღმდეგ 18-სა ხმოსანთა არჩევნები მოხდეს საარჩევნო კრებების ქალაქის რემდენიმე ნაწილში მოხდენით. მეორე კითხვა იყო: რამდენ საარჩევნო ნაწილად გაიყოს ქალაქი 2, 3 თუ 10. მიღებულ იქმნა გაიყოს ქალაქი სამ საარჩევნო ნაწილად.

✦ ახლო მომავალში გორის მაზრაში განზრახვა აქვთ დააარსონ ოთხი სასოფლო **ქსენონი**.

✦ დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში **საქონლის ჭირი** აღმოჩენილა.

✦ ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებში დიდძალი **მინდვრის თაგვი** გაჩენილა; შესაძლებელია, რომ თაგვმა გაანადგუროს ანეულები.

✦ სატყეო დეპარტამენტში აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ ნება მისცენ **სახაზინო ტყეების** მცველთ დაამზადონ სახაზინო ტყეებში საშენებელი ხის მასალა კერძო მრეწველთათვის მისაყიდათ.

✦ სოფ. მარტყოფიდან (ტფ. მაზრა) იწერებიან, რომ 17 ნოემბერს იქ ჩხუბი მოსვლიათ ერთმანეთში გლეხებს ივ. ხუციშვილს და იოსებ გოჩოჩაშვილს. გოჩოჩაშვილს დაურტყამს კეტი თავში ხუციშვილისათვის, ასე რომ უკანასკნელი იქვე გარდაიცვალა.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავს შემოსწირა მღ. ალექსი ბაქრაძემ შემდეგი წიგნები და სურათები. 1) წმ. დიონისი არეოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი, ხელთ. 2) წიგნი იოსებ არიმათიელისა, ხელთ-ნაწ. 3) წიგნი კარიანე რომაელისა, ამოწერილი ათონის ივერიის მონასტრის პერგამენტიდან, ხელთ. 4) აია სოფიას ეკლესია (ძველი მოთხრობა) ხელთ. 5) წმ. თეოდორე საღოსის მოთხრობა, ხელთ. 6) კაი ლოთებს, საუბარი მღვდლისა მრევლთან უზომოდ ღვინის სმაზე, ქუთაისი, 1885 წ. 7) რაპორტი პილატესი რომის კეისრისადმი, ხელთ. 8) საფილოსოფო (ერთი რვეული.) 9) სასინოდო სიტყვა ნერსეს ლამბრონელისა, ხელთ. 10) წიგნი სულის სიცოცხლისა და ხორცთა მოკვდავისათვის, ხელთ. 11) ავგაროზი, ქუთაისი, ჩუქ. 12) მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, ტფილისი 1852 წ. 13) სურათები: წმ გიორგისა, დავით აღმაშენებლისა, წმ. თეოდორესი

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✤ «მანჩესტერ გუარდიან»-ში დაბეჭდილია წერილი შესახებ გენერალ დევეტის ბრწყინვალე გამარჯვებისა, ამ გამარჯვების თაობაზედ აქამდე არ იყო არსად ნაამბობი. ამ გაზეთის სიტყვით, «დევეტს, რომელსაც 3000 კაცი ახლდა, გარს შემოერტყნენ 40,000 ინგლისის ჯარის კაცი, გენერალ პეჯეტის უფროსობით. უკანასკნელმა მოსთხოვა დევეტს დამორჩილება. დევეტმა სთხოვა 4 საათის ვადა საფიქრებლად. პეჯეტმა მისცა ეს ვადა და როდესაც მისი ჯარები ამ ოთხის საათის შემდეგ მივიდნენ ბურებთან იარაღის ასაყრელად, იქ აღარავინ არ დახვდათ. პირი დაადეს ინგლისის ოფიცრებმა და დიდ-ჯავრს მიეცნენ. მათ ძალა უნებურად უნდა აღეარებინათ, რომ ეს დევეტის გაქცევა უკეთესი და ბრწყინვალე გამარჯვებათაგანი იყო მთელ ომის განმავლობაში. დევეტმა უბრძანა თავის ჯარს, რომ ყველა ფურგონის თვლებისათვის შემოეხვიათ რბილი მაუდი, რათა მათ ჭრიჭინი აღარ დაეწყოთ; ამას გარდა მაუდი დაასვიეს ყოველ რკინის ნაჭერსაც, რომელსაც ხმაურობის გაჩენა შეეძლო და შემდეგ დევეტი თავისი 3000 კაცით გაუსხლტა დაუნახავად გარშემოხვეულ 40,000 ჯარის კაცს.

✤ მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია პრეზიდენტ კრიუგერის მოგზაურობაზედ. ყველა სხვა საქმეები — შინაური თუ გარეული — მიივიწყეს, თვით ჩინეთის დაუსრულებელი ომიც, და მარტო ტრანსვაალის პრეზიდენტის დიდებულ საგანზედ ლაპარაკობენ. გულის მგერით კითხულობენ ყველანი დეპეშებს და კორესპონდენციებს შესახებ კრიუგერის მგზავრობისა და დახვედრისა. ყველანი გულის ფანცქალით ელიან — რომელი ქვეყანა, რომელი მთავრობა აღმოუჩენს დახმარებას მცხოვან მამულიშვილს და მის მართალ, ალალ საქმეს; ვინ ამოიღებს პირველად ხმას სიმართლის აღსადგენად და ძალმომრეობის დასათრგუნად. მთელი ქვეყნიერობის გული გამსჭვალულია გულწრფელის მხურვალე თანაგრძნობით პატარა გმირ ერისადმი, რომელიც უმაგალითო და შეუდარებელის თავ განწირვით, მედგარი გაკაცობით და შესანიშნავის მოხერხებით ებრძვის მძლავრ მოპირდაპირეს, პირველს მსოფლიო სახელმწიფოს, რომლის შიშით ბევრნი დიდნი სახელმწიფონიც თავზარდაცემულნი არიან.

ყველა ქვეყნების ხალხი, სადაც კრიუგერი მივიდა, დიდის თანაგრძნობით ეგებება პრეზიდენტს. საფრანგეთის, ბელგიის და ჰოლანდიის და თვით გერმანიის ერებმა დაამტკიცეს ცხადად, რომ ისინი სულით და გულით არიან უსამართლოდ დაჩაგრულ გმირ ერის მხარეზედ. მართალია, ნამდვილი საქმით დახმარებ ჯერ არც ერთ მთავრობას არ აღუთქვავს, მაგრამ საფრანგეთის სენატისა და პალატისაგან თანაგრძნობის გამოცხადება, მერე ისიც ერთხმივ, განურჩევლად პოლიტიკურა დასებისა, ჩაითვლება თითქმის საქმედ. ინგლისს არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს დიდებულ, კეთილშობილ ფრანგების ერის დადგენილობა.

გაზეთების სიტყვით, პირველად ხმას ამოიღებს და გარევა ბურების და ინგლისის საქმეში პატარა ჰოლანდია. ეს ბურების მონათესავე სახელმწიფო ელის მხოლოდ მარჯვე შემთხვევას, რომ მოლაპარაკება აღძრას ინგლისთან ბურების თაობაზედ. საფრანგეთიც, როგორც არწმუნებიან, უსათუოდ მხარს მისცემს ჰოლანდიისაგან აღძრულ მოლაპარაკებას, მაგრამ მარტო საფრანგეთის ხმა არა კმარა, რომ შესაფერი და საჭირო ძალა მიეცეს მეგობრულ შუამავლობას სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეში. საჭიროა კიდევ რომელიმე სახელმწიფოს გარევა. ყველაზედ მეტის გავლენა ამ საქმეში შეეძლო გერმანიას, როგორც ძლიერ სახელმწიფოს და ინგლისის მეგობარს, მაგრამ გერმანიის იმედი, მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ვილჰელმ მე-II უარი შეუთვალა კრიუგერს მიღებაზედ, სრულებით გაქარწყლდა. ამერიკასა და მისი პრეზიდენტ მაკ-კინლეისაც არავითარი იმედი არ არის. და აი ეხლა ყველანი თვალგაფაციცებით იყურებიან, თუ რომელი სახელმწიფო მთავრობა დაიჭერს კიდევ ბურების მხარეს — ბევრნი ფიქრობენ, რომ ეს სახელ წილი იქნება რუსეთი, რომელსაც ეხლა მარჯვე დრო აქვს ჯავრი ამოიყაროს და სამაგიერო გადაუხადოს თავის მუდმადაუძინებელ მტერს — ინგლისსაო. რუსეთის გაზეთებიც თითქმის ერთხმივ გამოსთქვამენ ღრმა აღტაცებულ თანაგრძნობას ბურებისადმი და პარდაპირ ზიზღსა და სიძულილს ინგლისისადმი.

✤ გერმანულ ყველა გაზეთებში საყურადღებო წერილები დაიბეჭდა შესახებ კრიუგერისა და გერმანიის მთავრობის ქცევისა სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეში.

ერთ გაზეთს მოყვანილი აქვს სრულად იმპერატორის დეპეშა, რომლითაც რამდენიმე წლის წინათ მან მიულოცა პრეზიდენტ კრიუგერს გამარჯვება ჯემსონზედ; შემდეგ გაზეთი თავის მხრით უმატებს, რომ კრიუგერი მოდის ბერლინში მარტო იმ აზრით, რომ მადლობა მოახსენოს იმპერატორს ამ დეპეშისათვის, რომელმაც წააქეზა ბურები ინგლისთან საომრადაო.

✤ მეორე გერმანულ გაზეთის აზრით, კრიუგერს ჰსურდა ენახა დიდებული იმპერატორი და მოეხსენებინა მისთვის: «აქამდე გულით გიყვარდი, ახლა დამიწყე ძულება. ნეტავი შემატყობინა, რამ შეგიცვალა გუნებაო» — კრიუგერს ეტყობა არა სცოდნიაო, დასძენს გაზეთი, რომ პოლიტიკაშიაც ისე, როგორც კერძო ცხოვრებაში, დიდ სიყვარულს დიდი სიძულილი მოსდევსო.

✤ არც ლორდ კიტჩენერის ქცევას სტოვებენ გაზეთები უყურადღებოდ. «ბერლინერ ტაგებლატის» სიტყვით, კიჩინერს ბრძანება გაუცია, რომ თავის ნებით ჯარში შესული ვოლონტიორები არ გარიონ ბრძოლებში. მას ეშინიან, რომ მათ მუნდირს ქვეშ უცემთ ადამიანური გული, რომელიც ჯერ საბოლოოდ არ გაქვავებულა და რომ ისინი საკმაო გულმოდგინებით არ შეასრულებენ კიტჩენერის ყველა უღმერთო ბძანებებს».

# თეატრი

**ოპერეტტა.** მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კვირას ოპერეტის წარმოდგენამ. მხიარული და მელოდიური შტრაუსის «ციგნების ბარონი» ისე შეასრულეს დედინცოვის დასის არტისტებმა, რომ მაყურებლებმა არ იცოდნენ, რა ექნათ; ზოგი მათგანი გაიქცა კიდეც. თუ შემდეგშიაც განმეორდა ამ გვარი წარმოდგენა, დალსკის ტრუპპაზე უარესი ბედი მოელის ოპერეტტის დასს. არც ერთ გუშინწინდელ მოთამაშეთაგანს არც ხმა ჰქონდათ რომლების

შესაფერი და არც თამაში უგარგოდათ. ყველას კითომ და ტუმანსკი სჯობდა, მაგრამ ისიც ცირკის კლოუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოპერეტის მომღერალ არტისტს. დავრონსკაია (სათვეე) სრულებით მოკლებულია ხმასაც და აქტიორულ ნიჭსაც. ქსევე ითქმის საირუვაზედაც (ციარა—ბებერი ციგნის ქალი) ბ-ნ დალსკის (ბარინკაი, ციგნების ბარონი) ერთობ სუსტი ტენორი აქვს, ამასთან სცენაზედაც ვერ უჭირავს შესაფერად თავი. ერთის სიტყვით, თუ ასეთი იქნა შემდეგი წარმოდგენებიც, გამართლდება ტუმანსკის ოხუნჯობა: «при такихъ сборахъ, и платковъ у васъ не будетъ»-ო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი

**ლივადია**, 27 ნოემბერი, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წუხანდელი ღამე სრულიად კარგად გაატარა; ძილი და მადა კარგი აქვს. ტემპერატურა და მაჯა ნორმალური ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

**ლონდონი**. გააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ბიუროში გერმანიის მხრივ დაინიშნენ: იმპერიის სასამართლოს პრეზიდენტი ბინგნერი, გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი-მომხსენებელი ფონ-ფრანციუსი, უმთავრეს ადმინისტრატიული სასამართლოს წევრი ფონ-მარტიცი და გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ-ბარი.

**პეკინი**. საფრანგეთის ელჩმა პიშონმა გაიგო, რომ ინდო-კიტაის გვერდით მდებარე ჩინეთის ტერიტორიზედ მიუზიდნიათ ბევრი იარაღი და იქვე თავი მოუყრიათ ჯარებს, და მიჰმართა ცინსა და ლიხუნჩანგს წერილით, რომლით იგი თხოულობს ყოველივე ამ სამზადის ბოლო მოეღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთი იძულებული შეიქმნება იარაღი აიღოს ხელში თავისი საზღვრების დასაცველად და ავაზაკების თარეშობის ასაცდენად, თუ უკანასკნელნი თავს იჩენენ საფრანგეთის სამფლობელოში. შემდეგ პირნი წერილში უთითებს იმაზედ, რომ ორთავე ქვეყნების ინტერესებს შეადგენს, არ მოხდეს რაიმე სერიოზული უთანხმოება.

ელჩები ორშაბათს შეიკრიბებიან რათა შეთანხმდნენ ცინის და ლიხუნჩანგის რწმუნებათა გამო. ზოგიერთ ელჩებს საკმაოდ არ მიაჩნიათ მათი რწმუნებანი სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. სამშვიდობო მოლაპარაკება, როგორც ჰფიქრობენ, ჩქარა უნდა დაიწყოს.

**იოჰანესბურგი**. განაგრძობენ ეგრედწოდებულ რენდ-რაიფსების ჯარად გაყვანას. ყოველი ინგლისის ქვეშევრდომი, რომელსაც კი სამსახური შეუძლიან, გაჰყავთ ჯარში—ტრანსვაალში და იმის გარეთაც. იოჰანესბურგის გარშემო თითქმის გაათავეს ეკლიანი მავთულით ღობის შემოვლება; დარჩა მხოლოდ ხუთი გასავალი; აღარავის არ შეეძლება უზიდოს მტერს საკვები სურსათი. განაგრძობენ მოსახლეობის განდევნას ქალაქის გარშემო ადგილებიდან; დედაკაცები და ბავშვები ასობით მოდიან აქ და ბინავდებიან დოლის მეიდანზე.

**პეკინი**. ტაკუდან იუწყებიან, რომ განაპირა ნავთ-სადგური გაიყინაო. 30 გემი ყინულში ჩარჩენილა.

**გააგა**. თავისი მინისტრის მინდობილობით, ნიდერლანდის ელჩმა ლონდონში გამოუცხადა იქაურ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ნიდერლანდების მთავრობა იყრის თავის თავიდან ყოველს პასუხისგებას იმ წერილისას, რომლითაც 23 ნოემბერს პირველი პალატის თავმჯდომარემ მიჰმართა პრეზიდენტ კრიუგერს.

**პეკინი**. თუმცა ჩინეთის რწმუნებულნი ნიაღაგ არწმუნებენ სახელმწიფოებს, ვითომ ჩინელები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ძალაობის მოსასპობლად, მაინც თითქმის ყოველ დღე თვით პეკინში ატუსაღებენ ჩინელებს, რომელნიც საიდუმლოდ ატარებენ იარაღს მკვიდრნი ამბობენ, რომ 3 დეკემბრისათვის სატახტო ქალაქში დანიშნულია ხელახლად აჯანყება უცხოელების წინააღმდეგო. ამ ამბავმა არ გამოიწვია არავითარი შიში, რადგანაც აქ მყოფი ჯარი ადვილად ჩააქრობს ყოველს ამბოხებას, თუნდაც რომ ჩინელებმა გაბედონ რამე კიდეც.

**დურბანი**. ბურებმა დააყენეს მატარებელი სადგურ ფლაკლააგას ახლო, სტანდერტანის პირდაპირ, და მოიტაცეს 130 ცხენი, რომელნიც ჯარებისათვის უნდა გაეგზავნათ. ბურების მეორე რაზმმა დასტაცა ინგლისელებს ბევრი მსხვილ-ფეხი საქონელი და ცხვარი, და მირეკა ფლავლააგეში.

რედაქტორი: ალ. ჭყონია.
გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

„ივერია“
გამოვა 1901 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. | | 6 თვით | 6 მ. | — კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 „ | | 5 „ | 5 „ | 50 „ |
| 10 „ | 8 „ | 75 „ | | 4 „ | 4 „ | 75 „ |
| 9 „ | 8 „ | — „ | | 3 „ | 3 „ | 50 „ |
| 8 „ | 7 „ | 25 „ | | 2 „ | 2 „ | 75 „ |
| 7 „ | 6 „ | 50 „ | | 1 „ | 1 „ | 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაუთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელის-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:
მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლა.
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ Редакція „ИВЕРІА.“
(5—4) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

Открыта подписка на 1901 г.
на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, **форматъ** газеты съ конца нынѣшняго года будетъ **увеличенъ**.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ
СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к. |
| „ 11 „ | 9 р. 50 к. | | „ 5 „ | 5 р. 25 к. |
| „ 10 „ | 8 р. 75 к. | | „ 4 „ | 4 р. 75 к. |
| „ 9 „ | 8 р. — к. | | „ 3 „ | 3 р. 50 к. |
| „ 8 „ | 7 р. 25 к. | | „ 2 „ | 2 р. 75 к. |
| „ 7 „ | 6 р. 50 к. | | „ 1 „ | 1 р. 50 к. |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р.

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ— 7р., на полгода—4 р.

*Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.*

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Книги, издаваемыя редакціею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. Об.“ съ уступкою 50°|°. (მ. 3—3)

დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა

ქამუშაძის გაჭირვება

ტფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. ქუთაისში: ვ. ბეჟანნიშვილის და ბათუმში—სპ. ჰელიძის მაღაზიებში. (5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბ. განჯის დიდი ქუჩა, № 27.